კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქუთაისში

20 სექტემბერს 14:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქუთაისის ცენტრალურ ბულვარში გამოფენას გახსნის.

გამოფენის მიზანია ხელნაწერთა ცენტრში დაცული უნიკალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. მასპინძელი ქალაქის ბულვარში განთავსდება სხვადსხვა თემატიკის საინფორმაციო ბანერები, რომელზეც ასახული იქნება ცენტრში დაცული კოლექციის ვიზუალური მასალა. დამთვალიერებლს საშუალება ექნება გაეცნოს იმ ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, რომელიც საუკუნეებს ითვლის და ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ატარებს. ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა-ფშაველას პირადი არქივი ეს იმ თემების მცირე ჩამონათვალია, რომელთა შესახებაც დამთვალიერებელი ძალიან საინტერესო დეტალებს შეიტყობს.

ასევე იგეგმება ხელნაწერთა ცენტრში დაცული ორიგინალი საარქივო ექსპონატების გამოფენა. ანტონ ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი,ნიკო მარი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა დიდი პიროვნებების პირადი წერილების ჩანაწერებისა და სხვა ხელნაწერების ნახვა დამთვალიერებელს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში შეეძლება (ლილი ნუცუბიძის №1). გამოფენა ასევე მოიცავს სამეცნიერო-პოპულარულ ლექციასა და შემეცნებით აქტივობას „წიგნის მოვლის კულტურა“, რაც გულისხმობს მოსწავლეებისათვის ფურცლის აღდგენისა და სხვა სარესტავრაციო პროცესების შესახებ პრაქტიკული ვორქშოპის ჩატარებას.

ხელნაწერთა ცენტრის დღეები ქუთაისში, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მხარდაჭერით დაიგეგმა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777
577 977 199

თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.